პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ფასი 3 კაპ.

პარასკევი, 7 მაისი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ევანგულოვის ქ. ელხმენი 2—24.

განცხადების ფასი პირველ გვერდ. 80 კ. სტრ. 4 გვ. 40 კ.

98 (1093) | 1 და 2 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | 98 (1093)

## პროფინტერნი და ინგლისის პროლეტარიატის გაფიცვები.

დღეს მთელი ქვეყნის ყურადღება მიპყრობილია იმ ამბებისაკენ, რომელსაც ადგილი აქვს ინგლისში.

ეს ამბები უმთავრესათ ეხება იმ დიდ გაფიცვებს, რომელიც მოახდინა ინგლისის პროლეტარიატის ოთხ მილიონ ნახევარიანმა არმიამ. როგორც ვიცით ამ გაფიცვების გამომწვევი მიზეზი არის: მაღაროების მეპატრონეების ულტიმატუმი, სამუშაო ხელფასის შემცირების და სამუშაო დროის გაგრძელების შესახებ და აგრეთვე თვითონ ინგლისის მთავრობის პროვოკაციული მოქმედება, რამაც ბოლოს და ბოლოს სავსებით აავსო მოთმინების ფიალა და ინგლისის მუშათა კლასის დიდი ნაწილი გამოიყვანა, თავის ისტორიული მტრის—ბურჟუაზიის წინაალმდეგ.

ამ გარემოებამ კი მეტათ დააფრთხო ინგლისის ბურჟუაზიის კონსერვატიული წრეები და მთავრობამ ხარბათ დაიწყო შეგროვება, ერთი მხრივ, შტრეიკბეხერებისა და მეორე მხრივ, საომარი ძალების.

დღეს მთელი ინგლისი საომარ წესებზეა გამოცხადებული. ამ გარემოებამ კი ათასი სხვა და სხვა შეხედულებანი გამოიწვია ევროპის სხვა სახელმწიფოებში.

მაგრამ რაც მთავარია ამ შემთხვევაში ეს არის ის, რომ ევროპის სხვა სახელმწიფოებში, ინგლისის პროლეტარიატის გაფიცვებმა მეტათ დიდი შიში აგრძნობია ბურჟუაზიას. მაგრამ სულ სხვა დამოკიდებულება გამოიჩინა ამ გაფიცვებისადმი მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა.

როგორც დეპეშები გადმოგვცემენ მეორე ინტერნაციონალის სამდივნოც იძულებულია მხარი დაუჭიროს ამ გაფიცვებს, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ავტორიტეტი არ დაკარგოს მუშათა ფართო მასაში, თორემ არსებითად იგი არ არის მაინც და მაინც სიმპატიით შეპყრობილი ამ მოვლენისადმი.

ამ შემთხვევაში წითელი პროფინტერნის დამოკიდებულება გაფიცვებისადმი, უფრო რევოლიუციონური და გარდამწყვეტია.

მის მიერ გამოშვებულ მოწოდების ერთ ადგილას ვკითხულობთ: „მაშინ იმავ დროს, როდესაც ინგლისის ისტორიაში ერთი კლასი ბრძოლით გამოვიდა მეორე კლასის წინაალმდეგ, აი სწორეთ ასეთ მომენტში საჭიროა, რომ მშრომელთა რიგებში ყოველგვარი უთანხმოება შენელდეს და განურჩევლათ მიმართულებისა, გამოვიდეს და დაეხმაროს, უყოყმანოთ, სიტყვა მოუბრუნებლათ ინგლისის პროლეტარიატსო“.

წითელი პროფინტერნი, როგორც ვხედავთ არა მარტო მხარს უჭერს გაფიცულებს, არამედ მოუწოდებს მშრომელთა კლასს გაფიცულებისადმი ყოველგვარ დახმარებისაკენ.

და ჩვენ გვჯერა, რომ ეს მოწოდება ცხოვრებაში ტარდება სწორეთ იმ გაგებით, რომ ინგლისის პროლეტარიატი, საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებით შესძლებს ბურჟუაზიის საბოლოოთ შემუსვრას და დამარცხებას.

## ინგლისის გაფიცვის ტალღები

ინგლისის საერთო გაფიცვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საერთაშორისო ბურჟუაზიაზე და ფართო გამოძახილი ჰპოვა მთელი ქვეყნის პროლეტარიატის რიგებში. მართალია, გაფიცვები ეკონომიურ ნიადაგზე წარმოიშვა, მაგრამ იმ ხანგრძლივმა კლასიურმა წინაალმდეგობამ, რომელიც არსებობდა ინგლისის კაპიტალისტურ წყობილებასა და პროლეტარიატის სულისკვეთებას შორის, შესაძლებელია ამან მიიღოს უაღრესათ პოლიტიკური ხასიათი.

ინგლისი კონსტიტუციის და თავისუფლების ძველი ქვეყანაა, მის ისტორიას არასოდეს არ ახსოვს დიდი რევოლიუციები და მისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების განვითარება ყოველთვის მიმდინარეობდა მშვიდობიანი გზით. მაგრამ მუდმივი ეკონომიური კრიზისები, რომელიც ახასიათებს ინგლისს, რეფორმისტული მუშათა კლასის მოძრაობა აცდინა მშვიდობიან ბრძოლას და იგი აშკარათ გადაიხარა რევოლიუციონურ ბრძოლისაკენ. ამ რევოლიუციონურ ბრძოლას მეთაურობს დამოუკიდებელი მუშათა პარტია და ინგლისის კომუნისტური პარტია.

გაფიცვებმა ფართო ხასიათი მიიღო და იგი გასცილდა ინგლისის საზღვრებს. მთელი ქვეყნის ბურჟუაზიული მთავრობები და მათი დამცველი გაზეთები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ინგლისში შექმნილ მდგომარეობას. ყველა სხვა დანარჩენი მოვლენები დაიჩრდილა და მათი ყურადღების ცენტრი ამჟამად მიპყრობილია ინგლისის მუშათა საერთო გაფიცვებისაკენ.

# ახალი რადიო ამბები

## მუშათა გაფიცვები ინგლისში

### ზოგიერთი ჯარის ნაწილებში თავი იჩინა მღელვარებამ

#### მთავრობა მოუწოდებს მოსახლეობას მოხალისეებად ჩაეწერონ პოლიციაში

### ინგლისის მუშებს მისდით თანაგრძნობის დეპეშები სხვა და სხვა ქვეყნის მშრომელთაგან

### გაფიცვები საათობით იზრდება

5 მაის გაიფიცა 250.000 მუშა, რომლებიც შედიან მანქანათმშენებელთა გაერთიანებულ კავშირში,

სამრეწველოს სხვა და სხვა დარგები თანდათან იხურება ელექტრო-ენერგიის უქონლობის გამო. გაფიცვები საათობით იზრდება.

მოსალოდნელია ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა და ცნობების შეწყვეტა.

#### ინგლისის მთავრობის საგანგებო ზომები

შინაგან საქმეთა მინისტრმა ხისკმა პარლამენტში განაცხადა, რომ ის ფიქრობს მოუწოდოს მოსახლეობას ჩაეწერონ სპეციალურ პოლიციის რაზმებში. გაფიცვამდი პოლიციაში სულ დაგროვილ იქნა 7.500 პოლიციელი. უკანასკნელ 2 თვის განმავლობაში ჩაეწერა 3.025 კაცი. მთავრობის გადაწყვეტილებით ელექტრო-სადგურებზე ლონდონი ნავთსადგურზე და რკინიგზაზე უნდა იმუშაონ სამხედრო ძალებმა.

მუშათა პარტიის წევრმა გენდერსონმა განაცხადა, რომ თუ მთავრობა არ გამოსძებნის საშუალებას, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი იქნება შეთანხმება, რამოდენიმე დღეში წარმოუდგენელი ამბები დატრიალდება.

#### პირველი მაგალითი

საგაფიცვო კომიტეტის მოდარაჯეებმა არ მიუშვეს გემთსაამშენებლო ქარხნის ტერიტორიაზე ადმინისტრაცია. ეს მაგალითი პირველია ინგლისში,

#### როგორ გამოდიან ინგლისში გაზეთები

გაზეთებს უშვებენ შტრეიკბეხერები. გაზეთები გამოდიან განსაზღვრული რაოდენობით და იყიდებიან ზღაპრულ ფასებში.

სტამბებს იცავენ ცხენოსან პოლიციის გაძლიერებული რაზმები. დაბეჭდილი გაზეთები გამოაქვთ კერძო ავტომობილებით, რომლებსაც იცავს პოლიციის რაზმი.

გაზ. "ტაიმსი" გამოვიდა საწერ მანქანით ერთ გვერდზე დაბეჭდილი.

გაზ. „მორნინგ პოსტმა“ გამოუშვა 5 მაისს „ბრიტანეთის გაზეთის“ 1 ნომერი. მუშათა პარტიის გაზ. „დეილი ჰერალდი“ შეუდგა თავის მხრივ სპეციალურ მუშათა ბიულეტენის გამოშვებას.

უფრო მეტ ინტერესს იჩენს საფრანგეთის პრესა. გაზ. „მატენი“ აღნიშნავს, რომ გაფიცვის ტალღები, რომელიც მოედო მთელ ინგლისს ლამობსგადასცდეს მის საზღვრებსაცდა საფრთხე შეუქნას ევროპის სხვა სახელმწიფოების საზოგადოებრივ განვითარებას. ასეთი მძულვარებით შეხვდა თითქმის ყველა ევროპის ბურჟუაზიული გაზეთები მათი კლასიური მტერის—მუშათა კლასის გაფიცვას.

აღფრთოვანება არ სუფევს მაინც და მაინც არც სოციალ-დემოკრატიულ წრეებში: მაგალითად, ჩეხო-სლოვაკიის პრესა გაფიცვებს შეხვდა ძალიან გულგრილად. სამაგიეროთ კომუნისტური გაზეთები რევოლიუციონურ ბრძოლის გუნებაზეა და მოუწოდებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს ბრძოლისაკენ და ინგლისის გაფიცულთა დახმარებისაკენ.

საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები დახმარების პირველ რიგში დადგებიან ინგლისის პროლეტარიატის გამარჯვებისათვის.

თ. განგეს.

#### მღელვარება ჯარში

ჯარის ზოგიერთ ნაწილებში მღელვარებაა. ერთმა გვარდიის ლეგიონმა უარი განაცხადა: ბრძანების ასრულებაზე. ამიტომ ლეგიონს აუკრძალეს ყაზარმებიდან გასვლა. ზოგიერთ ნაწილებმა უარი განაცხადეს სამრეწველო ცენტრებში გასვლაზე წესრიგის დასაცავად.

გლაზგოში მივიდა რამოდენიმე სამხედრო გემი.

#### ყოველ მხრიდან

პროფკავშირთა მთავარ საბჭოს სახელზე მსოფლიოს ყოველ კუთხიდან მიდის დეპეშები, რომელშიაც საერთაშორისო პროლეტარიატი სოლიდარობას უცხადებს ინგლისის მუშათა კლასს.

#### მუშათა ერთსულოვნობა

ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭომ გამოუშვა ცნობა, რომელშიაც კმაყოფილებას გამოსთქვამს მუშების გამოსვლის შესახებ, რომლებმაც აასრულეს ბრძანება გაფიცვების შესახებ.

მთავარი საბჭო აცხადებს, რომ თუ საჭირო იქნება ბრძოლის გაგრძელება, გაიფიცება პროფკავშირთა მეორე ჯგუფიცო.

## „არაფერი აქვს სალაპარაკო“...

მუშათა პარტიის ლიდერმა მაკდონალდმა და გენდერსონმა ინახულეს ფინანსთა მინისტრი ჩერჩილი, რომელიც შეხვდა მათ შემდეგი შეკითხვით:

„თქვენ მოდით მაცნობოთ, რომ პროფკავშირთა მთავარ საბჭომ შესცვალა საერთო გაფიცვები?“

როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, ჩერჩილმა განაცხადა: „ამ შემთხვევაში მე არაფერი მაქვს სალაპარაკო თქვენთან“.

## მეორე ინტერნაციონალი დახმარებას აღუთქვამს

მეორე ინტერნაციონალის სამდივნომ აცნობა ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმს, რომ ის მზადაა ამსტერდამის ინტერნაციონალთან ერთად მხარი დაუჭიროს ინგლისის გაფიცულებს.

## ამერიკა შეფიქრებულია

ამერიკის პრესა შეფიქრებულია ინგლისში მომხდარ გაფიცვებით და მოითხოვს, რათა ბალდუინმა „ჩააქროს რევოლიუცია“.

ერთი გაზეთი სწერს: „თუ რომ გაფიცულებმა გაიმარჯვეს, ინგლისში დამყარდება პროლეტარიატის დიქტატურა“-ო.

## ლატვიის ახალი მთავრობა

ლატვიაში შესდგა ახალი მთავრობა დემოკრატიულ ცენტრისა და გლეხთა კავშირის წარმომადგენლებისაგან. პრემიერად არჩეულია ალბერინი, გარეშე საქმეთა მინისტრად—ყოფილი პრემიერი ულმანისი. ორივე გლეხთა კავშირის ბელადებია.

## პილსუდსკი—მომავალი სარდალი.

პოლონეთის მთავრობამ მიიღო კანონ-პროექტი ჯარის რეორგანიზაციის შესახებ. ამგვარად შექმნილია შესაძლებლობა პილსუდსკის დაბრუნებისა არმიაში გენერალურ ინსპექტორის თანამდებობაზე, იმ პირობით, რომ ომის შემთხვევაში მან აიღოს სარდლობა ყველა სამხედრო ძალებზე.

## საბჭოთა კავშირში

### ინგლისის კონსერვატორები დაბრუნდენ ლონდონში

5 მაისს მოსკოვიდან ინგლისში დაბრუნდა ინგლისის დელეგაცია—კონსერვატორები.

დელეგაციის უფროსმა ნელსონმა განაცხადა: „ჩვენ ძალიან ვსწუხვართ, რომ ნაადრევად ვბრუნდებით უკან ინგლისში მომხდარ ამბების გამო, ჩვენ უკვე მივიღეთ განსაზღვრული წარმოდგენა, რომ საბჭოთა რუსეთი ჩქარი ტემპით მიდის წინ ეკონომიურ და კულტურულ აღორძინების გზაზე“.

ნელსონმა ღრმა მადლობა განაცხადა სტუმართმოყვარეობის გამო, რომლითაც მათ შეხვდენ მოსკოვში.

# გარბიან.

**„ინგლისის ბურჟუაზია გარბის საფრანგეთში“.**

დეპეშების ცნობა.

გარბიან.

გარბიან მდიდრები, ბურჟუები.

გაურბიან აჩრდილს კომუნიზმისას, რომელიც დღეს თავს დასტრიალებს ინგლისს და უქადის განადგურებას ინგლისის ბურჟუაზიას.

გაიფიცა ინგლისის მუშა

და

გაიყინა მთელი ცხოვრება ინგლისში.

აღარ გუგუნებენ ქარხნები, მათ ბუხრებიდან აღარ ამოდის შავი ბოლი და მჭვარტლი, მოიწმინდა ცა ინგლისის თავზე და აი ამ მოწმენდილ ცაზე გამოჩნდა აჩრდილი კომუნიზმისა, რომლისაც ასე ეშინოდა ინგლისის ბურჟუაზიას.

ყველა მოიცვა შიშის ზარმა, ყველას თავზარი დაეცა.

მხოლოდ ინგლისელი მუშა მტკიცედ სდგას და უმზერს ამ სურათს.

„მომავალი ჩემია, ცხოვრება ჩემზეა დამყარებული, მე ვარ მხოლოდ და მხოლოდ მთავარი ძარღვი ცხოვრების“—აი რას გამოხატავს ინგლისელი მუშის ამაყი გამოხედვა.

ბურჟუაზია კი გარბის; გარბის ქუდ მოგლეჯილი, მას არ ძალუძს გაუსწოროს თვალი მუშის გამოხედვას.

გარბის იმიტომ, რომ იგი უძლურია რაიმე გააწყოს მძლავრი აჩრდილის წინააღმდეგ; გარბის იმიტომ, რომ მას არ ძალუძს ერთი ნაბიჯი გადადგას იმ მუშის დაუხმარებლად, რომელიც ეხლა გაფიცულია.

აღარ სურს ინგლისელ მუშას იყვეს სხვის მონა, სხვის მორჩილი;

აღარ სურს ინგლისელ მუშას ღვაროს ოფლი სხვის გასასუქებლად;

მას უნდა თავისუფალი ცხოვრება, მას უნდა ადამიანური უფლება, მას უნდა რვა საათის სამუშაო დღე.

და აი ამოიღო ხმა ინგლისის მუშამ, მან სთქვა, ის რაც საუკუნოებით იყო დაგროვილი მის გულში; მან მოითხოვა ის, რაც კანონით მას ეკუთვნის.

არ უგდეს ყური მის ნათქვამს.

მუშამ შეაჩერა მთელი ცხოვრება.

ცხოვრების მბრძანებელი მუშაა.

ინგლისში მუშა გაიმარჯვებს.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ამის ნიშნები უკვე არის, ინგლისის დედა-ქალაქ

ლონდონზე მალე ვიხილავთ წითელ დროშას

და ზედ მოქარგულს

ჩაქუჩ-ნამგალს.

ბურჟუაზია კი გარბის,

მაგრამ, სად დაემალება, ეს უბადრუკი

აჩრდილს კომუნიზმისას, რომელიც თავს დასტრიალებს

მთელ ევროპას.

ე. ხუციშვილი.

# კომკავშირის ორგანიზატორის მომზადება

ჩვენი ჯარის ნაწილებში კომკავშირის წევრების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

რიცხობრივი ზრდა კომკავშირის მოითხოვს გაცხოველებულ ხელმძღვანელობას აღზრდის და სწავლების საქმეში. როცა კომკავშირის ბოლშევიკური აღზრდა ნაწილში სდგას სასურველ დონეზე, როცა კომკავშირის წევრები მაგალითის მაჩვენებელნი არიან უპარტიო წითელ არმიელთათვის, მაშინ პარტიის ამოცანების გატარება და უპარტო წ. არმიელთა მასის ხელმძღვანელობის და აღზრდის საქმე უფრო უზრუნველყოფილია. როდესაც პარტია ჯამს უკეთებდა თავის მუშაობას მეთოთხმეტე პარტ-ყრილობაზე, ის სხვათა შორის არ კმაყოფილდებოდა იმ მიღწევებით, რომელსაც ადგილი აქვს კომკავშირში და რეზოლიუციებში აღნიშნავდა, რომ ისე უნდა დადგეს ა. ლ. კ. კავშირის მუშაობა ქალაქად და სოფლად, რომ „თვითეული წევრი გახდეს ღირსეული თანაშემწე და საუკეთესო გამტარებელი პარტიის პოლიტიკის ფართო მასაში“. პარტიის მეთოთხმეტე პარტ-ყრილობამ აღნიშნა, რომ „ახკომკავშირის ორგანიზაცია სდგას თავისი მუშაობისა და ორგანიზაციის გამოცოცხლების ამოცანების წინაშე“. ბრძოლა ახალგაზრდობისათვის, მისი სათანადო აღზრდა სოციალისტური რევოლიუციის გამოცოცხლების მემკვიდრეობის დაცვა, აი მთავარი ამოცანა ჩვენი პარტიის კომკავშირის მუშაობის და აღზრდის დარგში. წ. ჯარი ეს არის რგოლი ერთ-ერთი იმ ჯაჭვში, რომელიც აერთიანებს ქალაქს სოფელთან. სოფლის გლეხურ ახალგაზრდობის სათანადო მომზადებამ აღზრდა და განვითარებამ, რასაკვირველია დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენს სოფლებს. წ. არმიელები ხდებიან სოფლის საუკეთესო მუშაკები, როგორც პარტ-ისე საბჭოთა ორგანოებში სოფლად. ამიტომ წ. არმიელთა ამღზრდელ ხელმძღვანელებს, ერთი წუთით მხედველობიდან არ უნდა გამოეპაროს ის, რომ წითელ არმიელის აღზრდით უმატებს ჩვენ სოფლებს ახალ კადრს ახალგაზრდობისა, რომელმაც ინიციატივა უნდა აიღოს ხელთ სოფლის სოციალისტურად გადახალისების საქმეში. ზედმეტი არ იქნება ითქვას ზემო აღნიშნულის შემდეგ ის გარამოება, რომ ჩვენი ახ. კომკავშირის დამხმარე ჯგუფში მუშაობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ჯგუფებმა, რომ შეასრულოს როგორც წ. ჯარში, ისე შემდეგშიაც მასზედ დაკისრებული მოვალეობა, საჭიროა გაძლიერებულ იქნას მათზე ხელმძღვანელობა და აღზრდა. ყველა ამის შესრულება შესაძლებელია ახ. კ. კავშირის აქტივით, რაიც დღეს საკმაო არ არის ჯარის ცხოვრების სინამდვილეში. საჭიროა აქტივის შექმნა და მათი წესიერი მომზადება. ამიტომ ძლიერ კარგ შედეგებს მოგვცემს თუ ბანაკათ გასვლის დროს ვისარგებლებთ ნაწილების თავის მოყრითაც და შევქმნით კომკავშირის დამხმარე ჯგუფის ორგანიზატორების (აქტიური წევრებსაც) გადასამზადებელ სემინარს, შესაძლებელ დროს განმავლობაში, რაიც გააღვილებს შემდეგ მუშაობას ჩვენს ნაწილებში კომკავშირელთა შორის.

ტ. მამალაძე.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## 1-ლი ქართ. მსრ. ლეგიონი.

ა/წ. ხუთი დღის წინეთ 1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის 1-ლ ასეულში შესდგა კომეჯრედის მორიკი დახურული კრება. ახ. ლ. კ. კ. წევრებთან ერთად. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მე-XIV პარტყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება 2. მოხსენება 1-ლ დივიზიის 5-თე პარტკონფერენციის რეზოლიუციებიდან და 3. განცხადებების გარჩევა პარტიაში მიღების შესახებ.

1-ლ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. კოხრეიძე, რომელიც ვრცლად სწვრავს თავის მოხსენებაში XIV-ტე პარტყრილობის შედეგის საკითხებს. მოხსენების ირგვლივ იქნა მიცემული შეკითხვები, რაზედაც იქნა გაცემული პასუხი სათანადოთ მომხსენებლის მიერ. 2 საკითხი კრების მიერ იქნა მოხსნილი და მომავალ მორიგ კრებისათვის გადადებული.

შემდეგ გარჩეულ იქნა განცხადებები პარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ კომკავშირის წევრების ამხ. შალვა თოდუასი და ამხ. გრიგოლ ჰეფხოძის, რომლებზედაც სათანადო გამოცდების შემდეგ იქნა აღძრული შუამდგომლობა პარტკანდიდატათ მიღების შესახებ ბიურო-კოლექტივის წინაშე.

სამხკორი ა. დეისაძე.

# საზეიმო სხდომა ჩვენთან

## 1-ლი ლეგიონი.

30 აპრილს შესდგა შეერთებული საზეიმო სხდომა სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად, სადაც გვესტუმრა საქართველოს ცაკის წევრი ამხ. ხარაბაძე, რომელმაც გაგვაცნო პირველ მაისის მნიშვნელობა.

საზღვარი არ ქონდა წ. არმ. სიხარულს, როდესაც ჭალარა ამხანაგს მოყავდა მაგალითები ძველი რევოლიუციონურ მოძრაობიდან, რომელშიდაც თითონ მიუღია მონაწილეობა.

შემდეგ იყო სხვა მოხსენებებიც რითაც ნათლად გავიგეთ ყოველივე, შესახებ პირველი მაისის მნიშვნელობისა. სხდომა ფრიად კმაყოფილი დარჩა და დაადგინა იბრძოლოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მუშების და გლეხების საკეთილდღეოთ.

სამხკორი კ. მინდიაშვილი.

# მე-3 ლეგიონის ბატარეის ცხოვრებიდან

23 აპრილს საღამოს ექვს საათზე შესდგა ბატ.უფპოლიტ და წ. ლაშქრელების გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იდგა: რემედასის და ავიოქიმიის უჯრედის მდივნების მოხსენება, წარსული მუშაობის შესახებ. რემედასის მუშაობის შესახებ, მოხსენებას აკეთებს ამხ. სიგუა, რომელიც აღნიშნავს როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს, წარსული მუშაობისას. ხოლო ავიაქიმის მდივანი ამხ. ქოიავა აკეთებს მოხსენებას და აცნობს აუდიტ. თუ რა გაუკეთებია მას 2 თვის განმავლობაში. მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები რაზედაც მომხსენებლებმა გასცეს სათანადო პასუხი. კრებამ სცნო მათი მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

მიმდინარე კითხვებში სიტყვას ამბობს ამხ. გოგიტიშვილი, შესახებ სამხედრო კოოპერატივ „ბოეცის“ წევრად გახდომისა. მომხსენებელი აღნიშნავს თუ როგორი სარგებლობა მოაქვს მშრომელთა მასებისათვის კოოპერატივებს, განსაკუთრებით „ბოეცს“.

ამის შემდეგ გამოხატავენ სურვილს და ეწერებიან „ბოეცის“ წევრად მთელი ბატარეიის წ. ლაშქრელების შემადგენლობა.

სამხკორი მხედარი.

# შვეციის კომუნალური მუშაკების დელეგაცია.

მომავალი კვირისთვის ტფილისში ჩამოვა შვეციის კომუნალური მუშაკების დელეგაცია.

# საქართველოში.

## წყალსადენი ქუთაისისთვის

ინჟინერ თუმანოვმა შეადგინა 2 გეგმა ქუთაისის წყალსადენის გასაყვანად. პირველი გეგმით წყალი მიღებულ უნდა იქნას მდ. რიონიდან. წყალსადენი დაჯდება 1.200.000 მანეთი. მეორე გეგმით წყალი გამოყვანილ უნდა იქნას სოფელ ორხევიდან, რომელიც 40 ვერსზე მდებარეობს ქუთაისიდან. მეორე გეგმის მიხედვით წყალსადენი დაჯდება 3 მილიონი მანეთი.

# ამ. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

## უცხოელ ფირმების წარმომადგენელთა ჩამოსვლა

ამ ჟამად ტფილისში იმყოფება უცხოელი ფირმების 8 წარმომადგენელი, რომლებიც ჩამოვიდენ მონაწილეობის მისაღებად სასოფლო მეურნეობის მანქანებისა და იარაღების გამოფენაზე ტფილისში.

# გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულება

## მიუხედავად მტრების ცდებისა...

გერმანიისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრულად განწყობილ გაზეთების გამოსვლებმა ვერ შეაჩერეს, პირიქით, დააჩქარეს გერმანია—საბჭოთა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. გერმანია—საბჭოთა ურთიერთობის წინააღმდეგ მიმართულმა აგიტაციამ ერთხელ კიდევ დაანახა ორივე ქვეყნის ხალხსა და მთავრობებს, რომ ისინი მიდიან სწორი გზით ორივე ქვეყნის ერთა ეკონომიურ და პოლიტიკურ დაახლოების საქმეში, რაც მშვიდობიანობის თავდებია აღმოსავლეთ ევროპაში.

**რა სწერია ხელშეკრულებაში.**

რას ეუბნება ორივე ქვეყნის ხალხის მასებს ბერლინის ხელშეკრულება?

ის ეუბნება, რომ მიუხედავად ინგლისის ცდებისა—გაება გერმანია ბრიტანეთის უღელში და გაეხადა ის ბრძოლის იარაღად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გერმანიის მთავრობა აფასებს საბჭოთა კავშირის მოზარდ ძალას და მასთან ახლო ურთიერთობას.

ჰინდენბურგის რესპუბლიკა, ლიუტერისა და შტრეზემანის მთავრობა წარმოადგენს კაპიტალისტური კლასის მთავრობას. გერმანიის კაპიტალისტურ მთავრობას არ შეუძლია უყვარდეს მუშებისა და გლეხების ქვეყანა, მაგრამ მას აქვს საკმაო პოლიტიკური წინდახედულობა და ესმის, რომ რამდენადაც ნაკლები მტკიცე იქნება დამოკიდებულება გერმანია და საბჭოთა კავშირს შორის, იმდენად სუსტი იქნება გერმანიის პოზიცია ძლევა მოსილი კაპიტალიზმის ქვეყნების მიმართ.

ერთა ლიგის უკანასკნელი სესიის მაგალითმა დაანახა გერმანიის მთავრობას, თუ რა ნაკლებ ანგარიშს უწევენ კაპიტალისტური ქვეყნები გერმანიას, რამდენადაც ისინი ფიქრობენ რომ გერმანიას აღარ აქვს სხვა გამოსავალი და ის დაემორჩილება მათ მოთხოვნილებებს. გერმანიის მთავრობა აცხადებს, რომ ის დაიჭერს მეგობრულ კავშირს საბჭოთა მთავრობასთან, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება იმ საკითხებში, რომლებიც ორივე ქვეყნის ინტერესებს ეხება. ის აცხადებს:—თუ რომ ერთა ლიგა, წინააღმდეგ გერმანიის მთავრობის იმედისა, შეეცდება აწარმოოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, იმ შემთხვევაში გერმანიის მთავრობა მთელი თავისი ენერგიით წინააღმდეგობას გაუწევს ამ ცდებს.

ამ ვალდებულებებს, რომლებიც საქვეყნოდ მიიღო გერმანიის მთავრობამ, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ბერლინის ხელშეკრულება საზღვრავს გერმანიის დამოკიდებულებას იმ შემთხვევისთვის, თუ რომ მესამე სახელმწიფო, ან სახელმწიფოთა კავშირი გაილაშქრებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში გერმანია ვალდებულებას იღებს არ მიიღოს მონაწილეობა ასეთ თავდასხმაში, თუ რომ ეს მოხდება საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი საქციელის წინააღმდეგ. საბჭოთა დიპლომატია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც იცავენ მშრომელთა ინტერესებს და რომელთაც სწყურიათ მშვიდობიანობა, არავის არ მისცემს საბაბს ბრალი დასდონ ჩვენს პოლიტიკას არა მშვიდობიან საქციელში.

ჩვენ ვიცით, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნების პოლიტიკაში გადამწყვეტ როლს თამაშობს დაინტერესება. ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს საკმაოდ აქვთ ნივთიერი საშუალებანი გერმანიის შესავიწროებლად.

ბერლინის ხელშეკრულება გაძლიერებულ უნდა იქნას გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიურ ურთიერთობის განმტკიცებითა და გერმანიისა და საბჭოთა პროლეტარიატის კავშირით. რუსეთის ბაზარი და მისი მნიშვნელობა გერმანიის მრეწველობისათვის, გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მუშათა მასების დაახლოება, საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალა, მისი მსოფლიო მნიშვნელობა—აი ის ელემენტები, რომლებიც გამოცდების დროს გამოაჩენენ 24 აპრილს ხელმოწერილ დიპლომატიურ საბუთის როლს. მეორეს მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს საბუთი ხელმოწერილ იქნა სულ მოკლე დროში ლოკარნოს ხელშეკრულების შემდეგ. ეს ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირზე გარშემორტყმა, რომელსაც სცდილობს ინგლისის იმპერიალიზმი, უფრო ძნელი საქმეა, ვინემ ეს ეგონა ინგლისის დიპლომატიას; ეს ამტკიცებს იმას, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში წინააღმდეგობას ვერ მოსპობს საზეიმო სიტყვების კორიანტელი.

**ჩვენი მიღწევები.**

ლოკარნოს შემდეგ საბჭოთა დიპლომატიამ დიდ წარმატებას მიაღწია ოსმალეთ-საბჭოთა და გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულებებში.

ეჭვი არაა, რომ მომავალშიაც ჩვენ შევსძლებთ ასეთი ხელშეკრულების დადებას მთელ რიგ სხვა დიდ სახელმწიფოებთან აღმოსავლეთსა და დასავლეთში, ხელშეკრულებას, რომელიც განამტკიცებს მშვიდობიანობასა და ესოდენ საჭიროა სსრკ-ს მშრომელთა მასების მშვიდობიან აღმშენებლობისათვის.

კ. რადეკი.

# 1-ლ ქართ. მსრ. დივიზიის თბილისის გარნიზონის უპარტიო წითელ არმიელთა მე-6 კონფერენციის გახსნა

ა. წ. 5 მაისს ქართ. დივიზ. ცენტრალურ კლუბში გაიხსნა 1-ლ ქართ. მსრ. დივიზიის თბილისის გარნიზონის უპარტიო წითელ არმიელთა მე-6 კონფერენცია. კონფერენცია გახსნა დივიზ. პოლიტგანყოფილების წარმომადგენელმა ამხ. მიქაძემ, რომელმაც მოკლე მისალმებელ სიტყვაში აღნიშნა კონფერენციის მნიშვნელობა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, თუ რა დიდი როლი ითამაშა უპარტიო წითელ არმიელთა წარსულ კონფერენციებმა დივიზიის მშენებლობასა და ცხოვრებაში. ამ მხრივ მე-6 კონფერენცია გაცილებით უფრო კარგ პირობებში ხდება, რადგან წინ დიდი მიღწევები მიუძღვის წარსულ წლებთან შედარებით.

ამხანაგმა იმედი გამოსთქვა, რომ სწორედ ამის გამო მიმდინარე კონფერენცია შესაფერ ადგილს დაიჭერს დივიზიის მომავალი მუშაობის თავის სიმაღლეზე დაყენებაში.

ამხანაგის სიტყვას და კონფერენციის გახსნას დელეგატები მქუხარე ტაშით შეეგებენ.

მუსიკამ შეასრულა ინტერნაციონალი.

**მისალმებები**

კონფერენციას პირველად მიესალმა არმიის პოლიტსამმართველოს და სამხედრო რევოლუციონური საბჭოს სახელით ამხ. რატნეკი. მან უსურვა კონფერენციას ნაყოფიერი მუშაობა და აღნიშნა წითელი არმიის მოვალეობა და მისგან გამომდინარე მუშაობა. „თქვენი კონფერენცია ძირეულად უნდა შეეხოს ყველა იმ მტკივნეულ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი აქვთ ჩვენს რიგებში, გამოარკვიოს მათი მიზეზები და ყველა საკითხების გადაჭრის დროს გამოვიდეს წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის ამაღლების ინტერესებიდან. მე იმედი მაქვს, რომ თუ წარსული თქვენი კონფერენციები ყოველთვის ამართლებდენ იმედებს, მით უმეტეს შესძლებთ ამას დღეს და ღირსეულად შეასრულებთ მუშებისა და გლეხების ინტერესების დაცვის საქმეში თქვენი მოვალეობის მოხდას.

კონფერენცია მხურვალე ტაშით შეეგება ამხანაგს.

მისალმებებით გამოვიდენ აგრეთვე 2-ე ქართული დივიზიის წარმომადგენელი ამხ. ნუცუბიძე, 1-ლი ლეგიონიდან წ. არმ. ბურჭულაძე, არტლეგიონიდან წ. არმ. ქებაძე და სხვა.

**პრეზიდიუმის არჩევნები**

მისალმებების შემდეგ კონფერენცია პირდაპირ გადავიდა პრეზიდიუმის არჩევნებზე, რომელშიდაც გაყვანილი იქნენ წ. არმიელების 70 პროც. და დანარჩენი კი უფპოლიტშემადგენლობა.

პრეზიდიუმის საპატიო წევრებად ერთხმად იქნენ გაყვანილი: **სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, კალინინი, ვოროშილოვი, ლევანდოვსკი, რატნეკი და ორჯონიკიძე.**

ამავე სხდომაზე მოისწრო სამანდატო კომისიის, სამდივნოსი და სარედაქციო კოლეგიის არჩევაც.

დასასრულ დადგმული იქნა დელეგატების საპატივსაცემოთ რევოლიუციონური პიესა.

# ჩვენი სამხედრო სამეცნიერო წრე

მე-2 ლეგ. 2 ათასეული.

ათასეულში არსებული სამხედრო სამეცნიერო წრე სისტემატიურად ატარებს მეცადინეობას ათასეულის უმცროს მეთაურებ შორის. ტარდება ლექციები ძიების დანიშნულებისა და მისი წარმოების წესების შესახებ. ვსწავლობთ დასმენების შედგენას, ადგილმდებარეობის გამოყენებას ბრძოლის პირობებში და მრავალი სხვა.

საერთოდ წრე ძლიერ ნაყოფიერად მუშაობს. უმცროსი მეთაურები ენერგიულად ეკიდებიან მეცადინეობას.

კარგი იქნება მხოლოდ უფრო ხშირად იწარმოებდეს მეცადინეობა, რადგან მსმენელების ინტერესი მისდამი თანდათან იზრდება და ეს გამოყენებული უნდა იქნას

სამხკორი გრინავა.

# დისციპლინა განმტკიცდა.

მე-2 ლეგ. 6 ასეული.

უკანასკნელ ხანებში ასეულში მეტად განმტკიცდა სამხედრო დისციპლინა. დეზერტირობას სრულიად აღარ აქვს ადგილი. წინად ხშირად ქონდა ადგილი ცუდი სიტყვების ხმარებას წითელ არმიელებს შორის, რასაც ამ ჟამად ვერსად გაიგონებთ. წითელ არმიელები გულმოდგინეთ ასრულებენ უფროსების ყოველგვარ განკარგულებებს.

ასეულში თითქმის აღარ არის წერაკითხვის არც ერთი უცოდინარი. ყველას თავისუფლად შეუძლია წერილების წერა და წიგნების კითხვა. ყოველ საღამოობით სწარმოებს საუბრები სხვა და სხვა საკითხების გარშემო და უმთავრესად დისციპლინაზე და სამხედრო ვალდებულებათა შესახებ, რამაც ძლიერ კარგი შედეგები მოიტანა.

ბანაკში გასვლა ყველას ძლიერ ახარებს, რადგან აქ უკვე სავსებით დავასრულებთ ყაზარმაში მიღებულ სამხედრო ცოდნას პრაქტიკაზე.

სამხკორი გ—ვა.

# როგორ ჩავატარეთ 1 მაისი.

მე-2 საკავშირო ასეული

ჩვენი ასეული ადრიდანვე შეუდგა საერთაშორისო დღის 1 მაისის ღირსეულათ ჩატარებისათვის სამზადისს. ასეულის საერთო კრებაზე გამოყოფილი იქმნა დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია. უკანასკნელმა შეადგინა თავისი მუშაობის გეგმა თუ როგორ უნდა ჩატარებულიყო ასეულში დღესასწაული. ჩატარებულ იქმნა პოლიტ-საათზე 1 მაისის ისტორია და მისი მნიშვნელობა. გაშუქებულ იქმნა აგრეთვე წითელი ფიცის დანიშნულება.

მოწვეულ იქმნა ასეულის საერთო კრება, რომელზედაც გააკეთეს მოხსენება 1 მაისის და მუშათა კლასის საერთაშორისო მოძრაობის შესახებ. მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქმნა შესაფერი რეზოლიუცია, რომელშიდაც კრების შემადგენლობა ფიცსა სდებდა, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს მსოფლიო პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის.

ასეულის ყაზარმა მორთულ იქნა შესაფერი ლოზუნგებით და პლაკატებით. გამოუშვით სადღესასწაულო კედლის გაზეთი.

1 მაისს დილის ათის ნახევარ საათზე ასეულის მთელი შემადგენლობა გაეშურა ალუმზე და მივიღეთ წითელი ფიცი.

სამხკორი ვ. ვ.

# პირველი მაისის დღესასწაული ტფილისში.



ამხ. ორჯონიკიძე, ალნიაშვილი მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, ალლუმს ღებულობენ პირველ მაისის დღესასწაულის დროს.



წითელარმიელები ფიცს ღებულობენ.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი დაპირებულს ასრულება უნდა.

ამას წინად 1-ლ არტლეგიონის სკოლის უფროსმა გაგვიკეთა მოხსენება და სხვათა შორის გვაცნობა, რომ თუ ვინმე გამოჩნდებით მსურველები რუსულ ენასაც გასწავლით. წინადადება დიდი სიხარულით იქნა მიღებული და მრავლად ჩაეწერენ ამხანაგები. სამწუხაროდ დაპირება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და სისრულეში არავის მოყავს. კარგი იქნება სკოლის უფროსი მეტი ყურადღებით მოეკიდებოდეს თავის სიტყვებს და დააკმაყოფილებდეს მსურველ წითელარმიელებს.

წ. არმ. წითელი წყალი.

# ყურადღება უნდა მოგვექცეს.

ქ. ბათომის სამხედრო გოსპიტალში მეტად უყურადღებოთ ვართ ქართველი წითელარმიელები, რადგან გოსპიტალის მოსამსახურეები, სანიტარიდან დაწყებული ექიმამდე ყველა რუსები არიან, რომლებსაც ვერაფერს ვაგებინებთ სრულიად. ხშირი ყოფილა შემთხვევა, რომ კუჭის ტკივილის მაგივრად გულის ტკივილს ეუბნებიან ჩვენი წითელარმიელები ექიმებს. რა ქნან, არ იციან რომელს რა ეწოდება რუსულად.

კარგი იქნება მოგვაქცევდენ ყურადღებას და ქართველ მოსამსახურეებსაც მისცემდენ ადგილს გოსპიტალში, რომ შევსძლოთ გავაცნოთ მათ ჩვენისატკივარი.

სამხკორი გულეიკარელი.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

# ტყის შვენება

(ბუნების საიდუმლოებანი)

წინა თქმა

— ჰო, მაშა, ეხლა შენი ჯერია...

ჩაიცვიდენ ტატეს, ამხანაგები...

შემოეხვიენ...

— ვანო, რასაც იტყვის ხვალ მიამბე.

უთხრა სამსონამ, ამხანაგს, რა თოფი აიღო და გადიოდა ყარაულში...

მას გული სწყდებოდა, რომ ვერ მოისმენდა რიცხვით მეათე საუბარს, რომელიც ამ [illegible]უნდში შემოიღეს, და რომლითაც ერთობოდენ ხოლმე ყოველ ღამ, ძილის წინ; მაგრამ ამავე დროს მოვალეობა იწვევდა...

— კარგი.

დაიიმედა ვანომ.

განმრიგებელს მიჰყავს რამოდენიმე წითელ არმიელი გუშაგების შესაცვლელად...

აქ კი...

ტატემ უკვე დაიწყო...

— ჰო, კარგი, არაუშავს—რა...

დაეთანხმენ, რა ტატემ მოთხრობის მაგიერ დაიწყო უფრო დარიგების თქმა...

— ჰო და, როგორც გითხარით, ის ქვეყანა, რომელიც, უდაბნოს ემსგავსება, და მცხოვრებლები თუ სულ არ გასწყდენ, გადაშენების გზაზე მაინც არიან...

მოჰყვა ტატე...

— არც ესაა ინტერესს მოკლებული საუბარი!

ჩაერია პლატონა.

— ჰო, მერე?

— და, ამიტომ ხალხი ასეთ ადგილებზე დასახლებას გაურბის, იყრება იქიდან, ეძებს ტყიან, მდინარიან ადგილს დასასახლებლად...

ხშირი ყოფილა მაგალითები, რომ უტყეო ადგილებში მცხოვრებლები ტომობით ამოწყვეტილან, რადგანაც, სადაც ტყე არ არის, იქ არც წყალია; და უწყლოთ სიცოცხლე ხომ არ შეიძლება.

აფრიკის მრავალ ასეულ ვერსიან ქვიშნარ უდაბნოებზე-რომლებზედაც, ალბად, ოდესღაც იყო მშვენიერი ტყე, რასაც ამტკიცებს იმავე ქვეყნის ზოგიერთი ტყიანი ადგილები, უდაბურნი, ხშირნი, ქალწულნი,—თვეობით მიიზლაზნებიან ხოლმე აქლემთა ქარავნები და სასმელ წყალს ვერსად შოულობენ; და თუ ასეთს წააწყდენ სადმე, იქ უთუოდ რამოდენიმე ხე მაინც იდგმება, და, სანატრელი წყაროც; ამ ადგილებს ოაზისს, წალკოტს ეძახიან; და განა ასეთ გახრიოკებულ ადგილებში ეს მართლაც წალკოტი არაა?!

— ჰაი, ჰაი, რომ აგრეა...

დაეთანხმენ აქეთ-იქიდან.

— ეს ხომ მოგვაგონებს გელატ კაცს, რომელსაც აქა-იქ კიდევ შერჩენია თმის ბუსუსი, და ხან საიდან წაიფარებს, სავარცხლით, ტიტველ თავზე, და ხან საიდან, რა არის ლამაზი გამოჩნდეო; ასევე სათუთად უვლიან მოგზაურნი ოაზისებს, ასევე უნდა მოუაროთ ჩვენი ქვეყნის აჭრიჭრილ თმას,—ტყეებს,—სილამაზის ნეტარებას...

ხომ იცით, უტყეო ადგილებში აუტანელი სიცივეები იცის ზამთრობით, და ზაფხულობით კი საშინელი სიცხეები; იტრუსება ყველაფერი, ნატისუსალი ასდის...

ქარს გრიგალად ქცეულს ვეღარაფერი იჭერს, რომელიც თუ ისტორიებს გადავხედავთ, მრავალ ქალაქებს და სოფლებს ანგრევს, ჰმარხავს მიწის, ქვიშის ქვეშ; ასეთ გრიგალებს უცხო ენებზე ეძახიან: სამუმს, ციკლონს და სხვა... ისინი ხეებს ძირიანად აგდებენ, შენობებს ლეწენ, ადამიანებს, პირუტყვებს იტაცებენ, და მოაქვთ სიკვდილი და განადგურება...

ასეთ ადგილებში იცის ხშირი ჰქა-ქუხილი და ქარიშხლიანი კოკისპირული წვიმები, სეტყვა, ყველაფრის გამანადგურებელი ნიაღვრები, უბედურების მუდმივი „საფრთხე—კაცობრიობის მტერი, მრავალგვარი ავადმყოფობანი...

ტყე ისევეა საჭირო, როგორც ჰაერი, წყალი, პური; იგი თავის წიაღში სიცოცხლის მრავალ მასაზრდოვებელ ნივთიერებას ინახავს, რომელიც ანოყიერებს ნიადაგს, ჰაერს და, თავისი ჯანსაღი ჰავით მუდამ სანუკვარი და მიმზიდველია...

— აკი ავადმყოფებს [განსაკურნებლად უფრო ტყიან აგარაკებზე გზავნიან ხოლმე, ჩაერია ლავრენტი.

— ჰო, და, ტყეები კი, როგორც ფარდა, იფარავენ მოსახლეობას როგორც ასეთ ქარებისაგან, ისე ნამქრებისაგან, თოვლის ზვავებისაგან, ნიაღვრებისაგან;—ესეთები კი ხშირია უტყეო ადგილებში; ტყე უხვად ისრუტავს თავის ნიადაგში წვიმას, გამდნარ თოვლს და რთვილს, ნამს—შემდეგ კი წყლად იღონება, წყაროებად, მოჩუხჩუხე ნაკადულებად, რომლებიც რძესავით გადმოსდიან მთის აკოკრილ ძუძუებს, ეშვებიან დაბლა რუებად, რწყავენ ვენახებს, ბოსტნებს, ნაფუზარხოდაბუნებს, ხევებში, ფლატეებზე ყირას, ოთურმანს გადადიან, იქცევიან მდინარეებად და მიჰქუხან ზღვის მკერდის შესანგრევად.

და, უწყლო ქვეყანა ხომ სიკვდილის პირასაა...

ტყე იძლევა მრავალ, ადამიანისაგან ხელთუქმნ, ბუნების სიუხვით ნაშობ ხილეულს; ტყეა, რომ თავის წიაღში ინახავს მრავალ საიდუმლოებას; ტყეა ბუდე ჩვენს ლიტერატურაში განბნეულ მრავალ სიტყვა-კაზმულობისა: ზღაპრების, ლეგენდების, მოთხრობების; რამდენი პოეტი აუმღერებია ტყის სილამაზეს, და პოეზიას ფრთა გაუშლია! ტყეება სამშენებლო და სათბობი მასალა; იგია ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა მალაროები, მინერალურ მადნეულობათა წყლების დაუშრეტელი აუზი, მადრევანი, ცის ლურჯ ხევნის შვენებად; ტყეს უნდა მოუაროთ, როგორც თვალის ჩინს...

თუ გინდაც სამხედრო მიზნით რომ მივუდგეთ ტყეს, ხომ იცით, არა ერთხელ მოგისმენიათ ჩვენი უფროსებისაგან, თუ რა მნიშვნელობა აქვს. სამხედრო მოქმედების დროს საუკეთესო ბუნებრივი ფარდაა,—როგორც მტრისაგან დამფარავი: არტილერიის ცეცხლისაგან, აეროპლანისაგან თავდასაცავად და სხვა; აი თუნდაც საომარ აირებისაგან უზრუნველსაყოფად; მომავალ ომებში მათგან თავდასაცავად ერთ საუკეთესო საფარად ტყე იქნება; ამის გარდა, ტყე კიდევ უპირატესობას გაძლევს მტერთან შედარებით, რომ შენ შეუმჩნევლად იქნები მისგან, ყოველმხრივ შენიღბული; თვალთვალისა და ძიების მხრივაც ხომ საუკეთესოა ტყე.

ს. ერთაწმინდელი.

(დასასრული იქნება)

# ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

## ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სამხკორს რომ ნდობა უნდა ჰქონდეს დამსახურებული წითელ არმიელთა მასაში—ეს უეჭველია. თუ ის ასეთი ნდობით არ სარგებლობს, მაშინ ძვირად თუ როდესმე მიაღწევს მიზანს მისი წერილი. რა არის საჭირო იმისთვის და როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ დავიმსახუროთ ეს ნდობა, როგორი უნდა იქნეს სამხკორი რომ ავტორიტეტით სარგებლობდეს, რომ ყურს უგდებდენ თითეულ მის სიტყვას?

ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც აუცილებლად საჭიროა ვიცოდეთ. პირველი და უმთავრესი საშვალება ამისთვის, რომ სამხკორი თვით ითვლებოდეს საუკეთესო წითელ არმიელად. როგორ მუშაობასაც არ უნდა აწარმოებდეს სამხკორი, თუ ის საუკეთესო მაგალითის მაჩვენებელი არ არის სხვა წითელ არმიელებისათვის, ასეთი სამხკორი ავტორიტეტს ვერას დროს ვერ მოიხვეჭს წითელ არმიელთა ფართო მასაში.

მეორე—ავტორიტეტის მოპოება შეიძლება აგრეთვე ფაქტების სწორად, დაუმახინჯებელი აღნიშვნით. ყალბი ცნობების წერა ნდობის დამკარგავია. ამასთანავე ერთად საჭიროა არ ვაწარმოოთ ცუდ წითელ არმიელებზე მწარე კრიტიკა, არამედ ამხანაგური რჩევა-დარიგება მივსცეთ გაზეთში მოთავსებულ კორესპონდენციებში. მხოლოდ ასეთი საქციელით შეიძლება წითელ არმიელებში პატივისცემის და ნდობის დამსახურება.

### ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ

უკვე დროულია დავაყენოთ საკითხი: სარგებლობს თუ არა სამხკორი რაიმე სხვა უფლებებით, რომლებიც ანსხვავებენ მას დანარჩენ წითელ არმიელებისაგან? ეს საკითხი კიდევ ძლიერ აინტერესებს მრავალ ჩვენს სამხკორებს. არა ერთხელ მოუთხოვიათ მათ საამისო წიგნაკები და სხვა.

უნდა გვახსოვდეს ერთხელ და სამუდამოთ, რომ სამხკორი არის წითელ არმიელი, რომელიც სწერს გაზეთში. თითეულ წითელ არმიელს შეუძლია თავისი სურვილისამებრ გახდეს სამხედრო კორესპონდენტი.

არავითარი განსხვავებული უფლებებით არ სარგებლობს სამხკორი. კრებებს ისინი ესწრებიან საერთო წესის მიხედვით.

თუ სამხკორს სურს დაესწროს მეთაურთა კრებას ანგარიშის ან შთაბეჭდილების დასაწერათ, ამისთვის საჭიროა მან ნებართვა აიღოს ნაწილის უფროსის ან სამხედრო კომისარისაგან.

—ო.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

### 1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონში ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ გამოაცოცხლეს სარედკოლეგიებმა თავიანთი მუშაობა. კედლის გაზეთები გამოდიან ყველა ბატარეიებში და ლეგსკოლაში. მონაწილეობას ღებულობენ უმთავრესად წითელ არმიელები. გაზეთები გარეგნულად დამაკმაყოფილებელია. მაგრამ ერთი ნაკლი მაინც აქვთ ზოგიერთებს. მათ არა აქვთ გაზეთში, რემედასის, ავიაქიმის, სანიტარული და სხვა საყურადღებო კუთხეები. ეს ნაწილი მთლიანად თუ არა ნაწილობრივად მაინც აქვთ ყველა გაზეთებს გარდა მეორე ბატარეიისა.

გარეგნულ გამშვენიერებასთან ერთად საჭიროა აღნიშნული ბატარეიების კედლის გაზეთებში შამოიღებდენ ამ განყოფილებებსაც და უფრო გააშინაარსიანებდენ თავის ორგანოებს. კედლის გაზეთი ყველაფრის შემცველი უნდა იყოს ნაწილში და ეს წესი დაცული უნდა იქნეს ჩვენი კედლის გაზეთებისაგანაც.

სამხკორი ა. მინადორაშვილი.

# ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲔᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ

ამჟამად 800 სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხები ცხოვრობენ მსოფლიოში. აზიაში—153, აფრიკაში—114, ავსტრალიაში—177, ამერიკაში—423 და ევროპაში კი—53.

მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში ლაპარაკობენ 10 სხვა და სხვა ენაზე.

ცხადია ძველ დროში ადგილი არ ჰქონია ენის ასეთ მრავალფეროვანობას. მცირე რიცხოვანი ხალხთა ტომები, რომლებიც ძლიერ დაცილებული მანძილებით სცხოვრობდენ ერთმანეთისაგან, თითეული ლაპარაკობდა თავის საკუთარ ენაზე და ღარიბი იყვენ სიტყვებით. ეხლაც არსებობენ ისეთი ველური ტომები, რომელთა სიტყვის მარაგი რამოდენიმე ათეულს არ ასცილდება.

თითეული ტომი გამრავლების შემდეგ მიიწევდა სხვა და სხვა მხრისაკენ, ნაწილდებოდა. გამოყოფილი ნაწილები ექცეოდენ ახალი პირობებისა და გარემოებათა გავლენის ქვეშ, ხვდებოდენ ახალ საგნებს, ახალ მოვლენებს და აძლევდენ მათ ახალ სახელწოდებას. ენა მდიდრდებოდა, იცვლებოდა და თანდათან უფრო სცილდებოდა პირვანდელ მდგომარეობას.

მიუხედავად ამისა ძველი მდგომარეობიდან მაინც შენახული იქნა ზოგიერთი სიტყვები და მეცნიერები სწორედ ამ სიტყვების საშვალებით არკვევენ ხალხთა შორის ნათესაურ კავშირს და სხვა.

მაგალითად, რუსული სიტყვა „ბრატ“ (ძმა); გერმანულად—„ბრუდერ“, ბერძნულად—„ფრატერ“, ფრანგულადაც—„ფრატერ“ ძველი გერმანული გამოთქმით—„ბროტარ“. ჩამოთვლილ ენებზე ეს სიტყვა ძლიერ უახლოვდებიან ერთმანეთს ბგერებით—მაშასადამე ყველა ეს ხალხები ერთი ოჯახიდან ყოფილან გამოსული. და მართლაც არსებობს ხალხთა დიდი ინდო-ევროპიული ოჯახი, რომელშიდაც შედიან ევროპის თითქმის ყველა ხალხები, სპარსელები და ინდოელები.

სამაგიეროდ ფრანგებისა და ნეგრების ენებში ვერ იპოვით ბგერებით ასე დამსგავსებულ სიტყვებს. მაშასადამე—ნეგრები განსაკუთრებულ ცალკე ოჯახს ეკუთვნიან.

ხშირად ისიც მოხდებოდა, რომ სხვა და სხვა ტომები ერთ ადგილზე იყრიდენ თავს და ერთად ეწეოდენ ცხოვრებას. ერთი ტომი იპყრობდა მეორეს. მაშინ ორი ენის შერევით გამომუშავდებოდა სრულიად ახალი ენა, ან და დამარცხებული ჰკარგავდა საკუთარ ენას და ითვისებდა გამარჯვებულისას. ასე არის შემდგარი მაგალითად ფრანგული ენა (ლათინურისა და გალური ენებისაგან). საქსონურისა და ბრიტანულისაგან კი—ინგლისური. ასეთი მაგალითები ბევრია რუსეთში, ჩვენში საქართველოში. მრავალი ქართველები გადაუთათრებიათ სპარსელებს და ოსმალებს. დავით აღმშენებლის დროს კი, როგორც ისტორია მოგვითხრობს 40,000 ყივჩაღი სრულიად გადაქართველდა, დაივიწყეს საკუთარი ენა, რომლებიც რუსეთიდან ჩამოიყვანა დავითმა თავისი მუდმივი ჯარის შესაქმნელად.

რევოლიუციამ ხომ კიდევ ძლიერ შესცვალ ენა. გრძელი ან რამოდენიმე სიტყვები შემოკლდენ და ერთი სიტყვა შემოვიდა მათ მაგივრად ხმარებაში. მაგალითი „სახკომსაბჭო“ და მრავალი სხვა.

ჩვენი ძველი წინაპრები, რომ ადგენ ისინი ვედარც კი გვიცნობენ, არ დაიჯერებენ თუ ჩვენ ქართველები ვართ.

შ.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ.

### ოსმალეთი აძლიერებს თავის საზღვაო ფლოტს.

ოსმალეთი სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს ქვეყნის საზღვაო ძლიერების განმტკიცებისათვის. თუ როგორ მნიშვნელობას აძლევს ის საზღვაო თავდაცვის საქმეს, იქედანაც მტკიცდება, რომ შექმნეს ცალკე კომისარიატი საზღვაო საქმეებისათვის. ფლოტის აღდგენის საქმეში დიდი მიღწევები აქვს მას.

გერმანიის ყოფილ სამხედრო კრეისერის „გებენის“ შეკეთების შემდეგ, ოსმალეთის ფლოტი გამდიდრდება ერთი უძლიერესი სამხედრო ერთეულით კიდევ. შესაძლებელია, რომ ზაფხულში ოსმალეთის ფლოტილია ესტუმროს საბჭოთა კავშირს. ეს იქნება საპასუხო სტუმრობა, გასულ წელში ჩვენი ნაღმოსნების ოსმალეთში ყოფნის. ფიქრობენ, რომ ვიზიტის ადგილი იქნება ოდესა, როგორც უფრო ამისთვის შესაფერი ნავთსადგური.

### ვინ ეხმარება რუმინეთს.

რუმინეთი ყოველგვარ ზომებს მიმართავს, რომ გააძლიეროს თავისი საზღვაო სამხედრო ფლოტი და ინგლისის დახმარებით სცდილობს გაადიდოს თავისი საზღვაო საბრძოლო ერთეულების რიცხვი.

რუმინეთის ფლოტში გავლენის მოსაპოებლად, დღესაც გრძელდება მეტოქეობა ინგლისელებსა და ფრანგებს შორის. ჯერჯერობით უპირატესობა ინგლისის მხარეზე სჩანს, რომელმაც აუარება ინსტრუქტორები ჩააბა რუმინეთის ფლოტში. ამასთან ერთად რუმინელები აძლიერებენ სამხედრო ავიაციასაც. აქ კი ფრანგების მხარეზეა უპირატესობა. საბჭოთა კავშირის ძლიერება შავ ზღვაზე ნერვიულ მდგომარეობაში აყენებს რუმინეთს, გაფაციცებით ეძებენ დახმარებას თავისი დიდი მფარველებისაგან.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲐᲨᲘ.

### ბორბლებიანი ტანკა

თანამედროვე ტანკების უარყოფითი თვისება ის არის, რომ მათ არ შეუძლიათ სწრაფად მოძრაობა. ფრონტის ერთი ადგილიდან მისი მეორე ადგილზე გადატყორცნა და განსაკუთრებით დიდ მანძილზე მეტად გაძნელებულია. ამიტომ როდესაც საჭირო შეიქნება ტანკების შორს გადაყვანა ჩვეულებრივად გადააქვთ ისინი რკინის გზის საშვალებით. მაგრამ ფრონტებზე ყველგან არ არის რკინის გზა.

ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება სხვა საშვალებების გამოძებნა მათი გადაყვანისათვის.

ინგლისში ამ რამოდენიმე ხნის წინად შესძლეს ასეთი საშვალებების გამონახვა. იქ ამჟამად ტანკები გადააქვთ ბორბლების საშვალებით.

ბორბლები ისეა მოწყობილი, რომ შეუძლიათ მაღლა აიწიონ, როდესაც საჭიროა ტანკის მოძრაობა და ძირს დაიწიონ როდესაც ესაჭიროებათ ტანკის სწრაფად მოძრაობა ბორბლებზე.

ამ გაუმჯობესებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ ფრონტის რაიონებში, სადაც აღმოჩნდება კარგი გზა, ტანკამ შეიძლება აწარმოოს სწრაფი შეტევა და უხმოდ მიეპაროს მოწინააღმდეგეს.

### ფურმერის ავტომატიური თოფი.

1921 წელში შვეიცარიელებმა გამოიგონეს ავტომატიური დამბაჩა, რომელიც უშვებდა წუთში 1.200 ვაზნას. მიუხედავად ასეთი სწრაფი გასროლის და სიმსუბუქისა დამბაჩა არ იქნა მიღებული შვეიცარიის არმიაში, რადგან თავისი სიპატარავის გამო ის ბევრს ჰკარგავდა სროლის შორ მანძილზე წარმოების საქმეში.

მაშინ არმიის სარდლობამ აუცილებლად სცნო, შეეცვალათ ეს დამბაჩა უფრო შორს მსროლელი და მსუბუქი—ავტომატიური თოფით.

ასეთი თოფი გამოგონი[ლ] იქნა 1924 წელში და ამჟამა[დ] ამ სისტემის თოფებით არ[…] შეიარაღებული შვეიცარიის ა[რ]მია. ის გამოიგონა ფურმერ[მა].

თოფი ისვრის წუთში 48[…] ვაზნას. იწონის 12 ნახ. გ[…]ვანქას. მას აქვს მეორე—შ[…]ცვლელი ლული. ლულის გ[ა]მოცვლისათვის საჭირო არ[ის] სულ 15 წამი.

თოფის კონსტრუქცია ის[ე]თია, რომ ყოველგვარი პირ[ო]ბებია დაცული სწორად დამ[იზ]ნების შესაძლებლობისათვი[ს].

შორს მსროლელობით ის […] ჩამოუვარდება ჩვეულებრივ შ[…]ზნანს.

# ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠ ᲯᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲡ

გაზეთ „წითელ არმიელი“-ს მე 88 ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია, მე-2 ლეგიონის მე-2 ათასეულის ცხოვრებიდან, სათაურით: მოხსენ ნაკლულევანებანი“, რომელშიდაც აღნიშნულია, რომ თითქოს ათასეულში არ არსებობდეს არც ერთი წრეები, და რომ ათასეულის ხელმძღვანელები არ აქცევდეს ასეთების ჩამოყალიბების საქმეს ყურადღებას და სხვა.

უნდა ითქვას, რომ სამხკორჯარეიშვილს ნებით თუ უნებლიეთ შეცდომაში შეყავს ათასეულის საქმესთან გაუცნობელი ამხანაგები, რითაც სამხკორი ქმნის გაუგებრობას. ნამდვილად კი კორესპონდენციის შინაარსი არ შეეფერება სინამდვილეს. მას ვერ გაუგია ან არ უნდა გაიგოს, რომ ათასეულში არსებობს:

1) დრამწრე, რომელმაც სწორედ „ათასეულის ხელმძღვანელების“ (რომელსაც იხსენიებს ჯარეიშვილი) ინიციატივით მოაწყო რამოდენიმეჯერ წარმოდგენა ქალაქში და საშეფო სოფელში.

2) სამხკორთა წრე ყველა ასეულებში, 3) წით. არმიის ისტორიის შემსწავლელი წრე 4) გაზეთის ხმა მაღლივ მკითხველთა წრე, 5) მოამბეთა წრე 6) სამხედრო ცოდნის წრე და სხვა.

ლიტწრეში კი მეცადინეობა ამ უკანასკნელ ხანებში შეფერხებულია, ვინაიდან წრის ხელმძღვანელ ამხ. ყარაგეიშვილმა, რომელიც დანიშნული იყო სამაზრო განათლების კავშირის მიერ, შესწყვიტა მუშაობა მ[…]სი ზედმეტად დატვირთვის გ[…]მო. ამას თან ერთვ[ის] შემდეგი გარემოება: მომზად[…]ბული კადრი ამხანაგებისა გ[ა]დაყვანილია ლეგსკოლაში, რ[ის] შემდეგ ათასეულში თითქმ[ის] აღარავინაა ლიტწრით დაინტ[ე]რესებული. ამას გარდა აქ არ[ს]ებობს: ავიაქიმის და რემედ[ა]სის ორგანიზაციები, 1-ლი ს[…] ფეხ[ო]ტის პარტსკოლა და საკ[…]ვშირო სკოლა. რაც შეეხ[ე]ბა კინო თეატრებს, ისიც ტარდ[ე]ბა ოზურგეთის სინამდვილე[…]თან შეფარდებით. ორჯერ გ[…]უშვით წარმოდგენა ათასე[უ]ლის წით. არმიელთა ძალები[თ], სამჯერ კინო სურათი, რომ[…]ლსაც დაესწრო ათასეულ[ის] მთელი შემადგენლობა. ამას გ[ა]რდა ყველა სურათის გაშვებ[ის] დროს ათასეულიდან დაშვებუ[ლი] იყო რიგრიგობით 10-15 […] არმიელი. ეხლა ოზურგეთ[ში] კინოები არ მიდის ჩვენთვი[ს] ეს იმიტომ, რომ (ოზურგეთშ[ი] ელსადგური არ მუშაობს […] მაშასადამე არც კინო სურათ[…]ბის გაშვება შეუძლია ათას[ე]ულს, რადგან ელსადგურ[ი] აშენება ათასეულის ძალღონ[ეს] აღემატება. დასასრულ, საჭ[ი]როდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ[,] რომ ასეთი დაუსაბუთებელ[ი] კორესპონდენცია ამჟღავნებ[ს] ამხ. ჯარეიშვილის ზერელ[ე] შეხედვას იმ საქმისადმი, რომ[ე]ლიც ნამდვილად კეთდება ათ[ა]სეულში. საჭირო კი არის, რო[მ …]ჯერ გაიგოთ, გაიცნოთ საქმ[ის] ნამდვილი ვითარება და შ[ემ]დეგ სწეროთ.

კომკავშირელი

# ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ?

ქ. ცხენ. ლეგ. პირველ ესკ. კომუჯრედში შემოტანილი აქ[…] განცხადება პარტიის კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ წით[ელ] არმიელებს:

1) არსენ ლაგვილავას, 2) ფაილაძე სპირდონს, 3) კურტანი[…] დიმიტრის, 4)ხაჭაპურიძე აკაკის, 5) არველაძე გიორგის, 6) ხუბ[…] დომენტის, 7) ბოკვერაძე გრიგოლს, 8) ბიბინეიშვილი ბესარიონ[ს,] 9) ჯამბურია ვასილის, 10) კლდიაშვილი მიხეილს, 11) ქეთილაშ[ვი]ლი ირაკლის (უმწყობრო გუნდის ზემდეგი).

კომუჯრედი სთხოვს ყველა იმ პირთ ვისაც რაიმე საწინააღ[მ]დეგო აქვს ჩამოთვლილ ამხანაგების პარტიის კანდიდატად მიღებ[ის] შესახებ, გვაცნობონ ორი კვირის განმავლობაში წერილობით […] სიტყვიერად.

კომ. უჯრედის მდივანი სტურუა.

# ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲘᲒᲐᲛᲒᲔᲔᲑᲘ[Ს] ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ.

დღეს, მაისის 7 იწარმოებს წიგნების გაცემა არმიის პო[…]ლიტსამმართველოს მომარაგების განყოფილებიდან.

საჭიროა გაგზავნა მიმღების სათანადო მინდობილობით.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.